# Zoma cip forte

**კომბინირებული მჟავა სარეცხი საშუალება CIP რეცხვისა და ალუმინის ზედაპირებისათვის.**

## აღწერა

**Zoma cip forte** არის დაბალ ქაფიანი, მაღალაქტიური, აზოტის და ფოსფორის მჟავების ნარევი სარეცხი საშუალება, რომელიც განკუთვნილია CIP რეცხვის ფართო სპექტრისათვის. გამოიყენება საკვებისა და სასმელების წარმოებაში. ეფექტურად აშორებს ორგანულ და არაორგანულ ნალექებს, კალციუმს.

## ძირითადი თვისებები

- **Zoma cip forte** ძალზე ეფექტურია არაორგანული ნალექების მოსაშორებლად, მათ შორის კალციუმის ოქსალატის.
- დაბალქაფიანია და შესაფერისია CIP-სისტემებისთვის მაღალი წნევის და ტურბულენტობის პირობებში.
- ეკონომიურია გამოყენებაში.
- არის გამტარი თხევადი სარეცხი საშუალება და შესაფერისია ავტომატური დოზირებისა და კონტროლისთვის.

## უპირატესობები

- ეფექტურად აშორებს უმეტეს არაორგანულ ნალექებს, რაც ზრდის ოპერაციულ ეფექტიანობას
- შესაძლებელია გამოყენება ახალი უჟანგავი ფოლადის CIP და ბოთლის სარეცხი სისტემების პასივაციისთვის,
- ხსნარის გამოყენება შესაძლებელია ისეთ მეტალზე როგორიცაა ალუმინი.
- შეესაბამება ავტომატურ დოზირებას და კონტროლს კონდუქტივობით, რაც უზრუნველყოფს პროდუქტის სტაბილურ მიწოდებას.

## გამოყენების ინსტრუქცია

- **Zoma cip forte** როგორც წესი, გამოიყენება 2.5-13% w/v (2-10% v/v) კონცენტრაციებში 20-60°C ტემპერატურაზე.
- CIP გამოყენებისთვის: **1-2,5% w/w (0,8-2% v/v)**, დამოკიდებულია გამოყენებასა და ნალექის დონეზე.

- პასივაციისთვის გამოყენების პირობები:
    - დახურული სისტემები: **25%, 60-80°C, 3 საათი**
    - ღია სისტემები: **10-15%, 60-65°C, 5 საათი**
- შენიშვნა: ზუსტი კონცენტრაცია, დრო და ტემპერატურა დამოკიდებულია კონკრეტულ გამოყენებაზე.
- ყველა სარეცხი და სადეზინფექციო საშუალება გამოყენების შემდეგ საფუძვლიანად უნდა ჩამოირეცხოს საკვები და სასმელთან შეხების ყველა ზედაპირიდან.

## ტექნიკური მონაცემები

- **გარეგნობა**: გამჭვირვალე უფერო სითხე
- **pH (უხეში ფორმით)**: < 2
- **ფარდობითი სიმკვრივე (გრ/სმ³; 20°C-ზე)**: ≈ 1.28
  (მოცემული მონაცემები ტიპურია ჩვეულებრივი წარმოებისთვის და არ წარმოადგენს სპეციფიკაციას)

## უსაფრთხოების ზომები და შენახვა

პროდუქტის გამოყენების და განადგურების სრული ინსტრუქცია მოცემულია ცალკე უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში (SDS)
შეინახეთ ორიგინალ დახურულ ჭურჭელში, ტემპერატურის უკიდურესობებისგან მოშორებით.
მხოლოდ პროფესიონალური გამოყენებისთვის.

## პროდუქტის თავსებადობა

**Zoma cip forte** უსაფრთხოა ალუმინთან და ყველა მასალასთან, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება CIP-სისტემებში, რეკომენდებული პირობების დაცვით. გაურკვევლობის შემთხვევაში რეკომენდებულია მასალის წინასწარი ტესტირება ხანგრძლივი გამოყენების წინ.

---

## ტესტის მეთოდი და რეაგენტები

- 0.1 ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი
- ფენოლფტალეინის ინდიკატორი

## გამოთვლა

დაამატეთ 2-3 წვეთი ინდიკატორი 10 მლ ტესტირების ხსნარში. ტიტრაცია მოახდინეთ ტუტე ხსნარით წითელ ბოლომდე.